KA021710766655522

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-827 18 / თებერვალი / 2022 წ.

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 8350.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N8 შენობა-ნაგებობების, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 11678.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N15 შენობა-ნაგებობების და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 582.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2 (ნაგებობა) და N3 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის" უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 8350.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N8 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი №01.16.05.013.055), ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 11678.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N15 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი №01.16.05.013.054) და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 582.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2 (ნაგებობა) და N3 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი № 01.16.05.013.049) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყის საპრივატიზებო თანხად განისაზღვროს 16 000 000 ლარი.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 4 000 000 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 20 000 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 2 (ორი) თვის ვადაში;

ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 72 (სამოცდათორმეტი) თვის ვადაში ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მრავალფუნქციური კომპლექსის, რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) არანაკლებ 8000 კვ.მ. ფართობზე მოწყობილ ხელოვნების ცენტრ(ებ)ს (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) არანაკლებ 2400 კვ.მ. ფართობზე მოწყობილ ხელოვნების ნიმუშების საგამოფენო დარბაზ(ებ)სა და სივრცე(ებ)ს, ასევე, საწყობ(ებ)ს, სახელოსნო(ებ)ს, ბიბლიოთეკას/ბიბლიოთეკებს, სალექციო დარბაზ(ებ)ს)/საგანმანათლებლო სივრცე(ებ)ს და ჯამურად ხელოვნების ცენტრ(ებ)ის არაუმეტეს 15% ფართობზე მოწყობილ კვების ობიექტ(ებ)ს), შექმნის მიზნით საპროექტო/სამშენებლო/ სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოების განხორციელება (რაც შეიძლება მოიცავდეს უძრავი ქონების ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს), კომპლექსის შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღება და ხელოვნების ცენტრ(ებ)ის ფუნქციონირების დაწყება. ამასთან, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) წლის განმავლობაში უძრავ ქონებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლ(ებ)ის მშენებლობა არ უნდა განხორციელდეს;

გ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება;

დ) ამ ბრძანების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელოვნების ცენტრ(ებ)ისათვის პროფილის შენარჩუნება არანაკლებ 20 წლის განმავლობაში.

ე) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) თვის ვადაში სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი უძრავი ქონების თაობაზე ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების გაფორმება.

4. მყიდველი ვალდებულია, ამ ბრძანების მესამე პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში“ წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული ამ ბრძანების მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამ ბრძანების მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

5. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

6. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

7. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს 2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე